




მათ თავი გადადეს,
მათ თავი გაწირეს,
მათ შექმნეს
ისტორია. მადლობა
ვეტერანებს!

მთავარი პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება სამხედრო სამართალდამცავი დაიჯესტი
რეტრომედია ბლოგი ვიდეო სხვადასხვა News კონტაქტი

ქართული კლავიატურა

სიახლეები

"არ დაჯდე საჭესთან ნასვამი"
შსს-ს ახალი სოციალური კამპანია



Share 0 Like 0 Share 0 0

"ქართული ოცნება" აჭარისწყალზე და მაჭახელაზე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს



2013-07-22 12:32:09

"ქართული ოცნება" აჭარისწყალზე და მაჭახელაზე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. საკითხი ეხება პლაჟშემქმნელი ნატანის ოდენობის კატასტროფულ შემცირებას, რაც განადგურებით ემუქრება აჭარის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვან ნაწილს.

"ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ხელვაჩაურის რაიონული ორგანიზაცია ყურადღებით ადევნებს თვალს მდინარე - აჭარისწყალზე და მაჭახელაზე მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურების (ხელვაჩაური I, ხელვაჩაური II და კონათიჰესი) მშენებლობების ირგვლის განვითარებულ

მოვლენებს. პარტიის რაიონული ორგანიზაცია შეშფოთებას გამოთქვამს ჰესების მშენებლობით მოსალოდნელ იმ შედეგების შესახებ, რომლის თაობაზეც გარემოს შეფასების სპეციალურ ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა". საკითხი ეხება პლაჟშემქმნელი ნატანის ოდენობის კატასტროფულ შემცირებას, რაც განადგურებით ემუქრება აჭარის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვან ნაწილს. ამასთან, პარტია მიიჩნევს, რომ აბსოლუტურად გაუმართლებელია ჰესების მშენებელი კომპანია "აჭარა ენერჯი 2007"-ის არატრანსპარენტულობა და მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხების ირგვლივ დიალოგისთვის არამზაობა მაშინ, როცა ჰესები, გარდა ეკოლოგიური რისკების პროვოცირებისა, დატბორვას უქადის ხელვაჩაურის რაიონის 20-დე სოფელს, 200 ჰა -მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულსა და ტყის მასივს", - ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

განცხადების თანახმად, "ქართული ოცნების" ხელვაჩაურის რაიონულ ორგანიზაციას გააჩნია აგრეთვე დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ კონათიჰესის მშენებლობისას არსებითად დარღვეულია პროექტით გათვალისწინებული პარამეტრები, რის შედეგადაც, "აჭარა ენერჯი 2007" გაუთვალისწინებელი ტექნიკურ-საინჟინრო პრობლემებს წინაშე დგას.

"ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ხელვაჩაურის რაიონულმა ორგანიზაციამ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე გამართა კონსულტაციები საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან. აღსანიშნავია, რომ სამინისტრო გამოთქვამს სრულ მზაობას შეისწავლოს ჩვენს მიერ მითითებული პრობლემები, აქტიურად ჩაერთოს მოსახლეობასთან დიალოგში და კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა", - ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

